

დავით მაზიაშვილი  
David Maziashvili

## 12 პაემანი როგორც ნუგეში 12 Visits as Consolation

*ილაპარაკე გონებაში ნუ დამალავ.*

ჰომეროსი, „ილიადა“

*ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველი იმან ესროლეთ ქვა.*

(იოანე 8:7)

მარიამ ალექსიძის მულტიმედიური თანამედროვე ბალეტი „12 პაემანი“ ორთაჭალის ყოფილ ციხეში 2021 წელს დაიდგა. სპექტაკლი რენტგენის ეფექტით ციხის შიდა სამყაროს, პატიმრის და მისი ოჯახის სულიერი მდგომარეობის შესახებ მოგვითხრობს, რომელსაც დამდგმელი ქორეოგრაფი მაღალმხატვრული გამომსახველობითი ფორმებით მრავალმხრივ და საინტერესოდ წარმოგვიდგენს. სპექტაკლი ერთ კონკრეტულ ამბავს ან/და სიუჟეტს არ ეფუძნება, არამედ პირიქით, ქორეოგრაფიული დრამატურგიის, პლასტიკის, ადგილის, მუსიკისა და ვიდეოპროექციის სინთეზით, მხატვრული, ალეგორიული, ალუზიური, ემოციური ველი იქმნება, რომელშიც მაყურებელი თავად ხდება ციხის რეალობის ნაწილი. პატიმართან პაემანზე მისული 12 სხვადასხვა ასაკის ქალის (დედის, ბებულის, ქალიშვილის, ცოლის) უსიტყვოდ, სხეულის ენით გამოხატული ემოციით მოყოლილი შეხვედრა, ფიქრები, ტკივილი, განცდები და ტანჯვა, როგორც საბჭოთა წარსულს, 1937 წელს დაპატიმრებულთა, გადასახლებულთა თუ დახვრეტილთა ოჯახებს, ისე პოსტ-საბჭოურ და უახლეს ქართულ წარსულს მოგვაგონებს. თუმცა, მძიმე ისტორიის მქონე ადგილის პარალელურად, თანამედროვე ქორეოგრაფიული მხატვრული ხერხებით გამოთქმული აზრები, უფრო ღრმა ფილოსოფიურ, რელიგიურ თუ კინემატოგრაფიულ-ლიტერატურულ პლასტებს ატარებს, რომელზეც ამავე თანმიმდევრობით ქვემოთ ვისაუბრებ.

### 1. ფილოსოფიის ნუგეში

დიდი რომაელი ფილოსოფოსი ბოეთიუსი მის ნაშრომში „ფილოსოფიის ნუგეში“ ჯერ კიდევ V-VI საუკუნეში მოგვითხრობდა პატიმრის ფიქრების, განცდების თუ სულიერი სამყაროს თავისებურებების შესახებ. ბოეთიუსი თავად იყო სიკვდილმისჯილი და მის ნაწარმოებში ალეგორიულად აღწერს შეხვედრას და საუბარს წარმოსახვით, პერსონიფიცირებულ ფილოსოფიასთან, რომელიც პატიმარ-ბოეთიუსს ულამაზესი ქალის სახით საპრობილეში ეწვევა. „ფილოსოფიის ნუგეში“ ისეთ მნიშვნელოვან თემებსა და პრობლემებს შეეხება როგორცაა: თავისუფლება, განგება, ბედისწერა, წინასწარგანჭვრეტა, სიკვდილი, მარადისობა, ძალაუფლების ამაოება და ა.შ. ბოეთიუსი წარმოგვიჩენს პატიმრის ფიქრებს, ტკივილს, წუხილს, მარტოობას, შიშს, უსამართლობის სამართლიანობას თუ სამართლიანობის უსამართლობას, ძალაუფლების ვნებას, მშვენიერებასა და სიმახინჯეს, რომლის საფუძველზეც ნათელი ხდება პატიმრის მიერ ცხოვრების რეალური საზრისის შესახებ მარტოობაში განცდილი ფიქრები, რომელსაც მშვენიერი ქალი სახელად ფილოსოფია უჩვენებს.

მარიამ ალექსიძის „12 პაემანი“ ალეგორიულად ბოეთიუსის ნაწარმოების სიუჟეტითა და ფილოსოფიურ-ქრისტიანული აზრებითაა გაჟღერებული. წარმოდგენის ერთ-ერთ სცენაში, ციფრული მულტიმედიური მხატვრულ-დოკუმენტური ფორმით, ერთი მხრივ პატიმრის საკანი და საკნის სარკმლიდან დანახული გარე რეალობაა გამოხატული, ხოლო მეორე მხრივ პატიმრის ფანტაზიებში შობილი შიშველი ქალების პოსტერები, ნახატები თუ ჟურნალებიდან ამოჭრილი ფოტოები, რაც პატიმრის გონებაში წარმოსახულ ქალთან ჩურჩულით საუბრის ფონზე მიმდინარეობს. ამიტომ სპექტაკლში წარმოდგენილი 12 ქალი, როგორც პატიმრის რეალურ ახლობლებს, ისე ბოეთიუსის პერსონიფიცირებული ფილოსოფიის თანამედროვე მხატვრულ სახეს განასახიერებს, ხოლო მათი რიცხვი - 12, როგორც ყოფილი პენიტენციური დაწესებულების ნომერს, ისე რელიგიურ-ლიტერატურულ სიმბოლოს.

## 2. ბიბლიური ალუზიები

ბოეთიუსისთვის, როგორც ნეო-პლატონიკოსისთვის უმნიშვნელოვანესი იყო არისტოტელესა და პლატონის აზრების დაახლოება და ანტიკურობის და ქრისტიანული სულიერების დიალოგი.

ამიტომ „ფილოსოფიის ნუგეშში“ თავისუფლების, ბედისწერის თუ სხვა მნიშვნელოვან თემებზე მსჯელობა ქრისტიანული ცივილიზაციისა და სულიერი აზროვნების განუყოფელი ნაწილია. ბოეთიუსმა დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის ფილოსოფიასა და მხატვრულ აზროვნებაზე. მაგალითისთვის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მამად აღიარებული ჯეფრი ჩოსერის აღნიშვნაც კმარა, რომელმაც სწორედ ბოეთიუსის აზრების გავლენით დაწერა „კენტერბერიული მოთხრობები“. ამავე პოემის „რაინდის ამბავში“ კი, მთავარი მოქმედი პერსონაჟები ბოეთიუსივით პატიმრები არიან, რომლებსაც სარკმილად დანახული ქალი უყვარდებათ და ის პატიმრების იმედი და ნუგეში ხდება. თავად მოთხრობა კი, ანტიკური სამყაროს, ქრისტიანული თეოლოგიისა და შუა საუკუნეების კურტუაზიული რაინდული სიყვარულის სინთეზია, რომელიც არა მხოლოდ მოთხრობის სიუჟეტში, არამედ პატიმარი პერსონაჟების დუალურობაშიც ჩანს.

ბოეთიუსი „ფილოსოფიის ნუგეშში“ პერსონიფიცირებულ ფილოსოფიას ასე აღწერს: „...ვიხილე ქალი, თავს რომ მადგა, სახეზე კდემით, მზერააგიზგიზებული, არამიწიერი სხივების მფრქვეველი თვალებით...“; „იგი იმდენად იყო დახუნძლული ჟამთა სიმრავლით, ვერ იფიქრებდი, ჩვენს ეპოქას თუ ეკუთვნოდა...“ (ბოეთიუსი 2015: 13) „კაბის ბოლოზე ამოქარგა ბერძნული ასო π (პი) ხოლო ზედა ნაწილში θ...“ (თეტა) (ბოეთიუსი 2015: 14). როგორც ცნობილია π θ ძველბერძნული სიტყვების საწყისი ასოებია და ისინი ფილოსოფიის ორ ნაისახოვნებას - პრაქტიკულსა და თეორიულს გამოხატავს (ბოეთიუსი 2015: 225). ამგვარი დუალობა, არა მხოლოდ ფილოსოფიაში ან/და ბოეთიუსის გავლენით ჩოსერის „რაინდის ამბის“ პერსონაჟებში, არამედ ქრისტიანულ თეოლოგიაშიც გვხვდება, რომლის მაგალითი ახალი აღთქმიდან მარიამ და მართას ეპიზოდია. როგორც ვიცით, საქმით გადაღლილმა მართამ, მის სახლში სტუმრად მყოფ იესოს უსაყვედურა: „უფალო, ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჩემმა დამ მარტო მე მომანდო მასპინძლობა? უთხარი ხელი შემაშველოს. მიუგო იესომ და უთხრა მას: მართა, მართა, ბევრ რამეზე ზრუნავ და შფოთავ; მაგრამ საჭიროა მხოლოდ ერთი რამ. მარიამმა უკეთესი წილი აირჩია, რომელიც არ წაერთმევა (ლუკა 10: 38-42). ამიტომ, ქრისტიანულ თეოლოგიაში მართა - π (პრაქტიკულს) - მოქმედებით, ხოლო მარიამი - θ (თეორიულს) - მჭვრეტელობითი ცხოვრების წესს გამოხატავს. ბოეთიუსის ფილოსოფიის ქრისტიანულ სამყაროსთან კავშირს ნაწარმოების სხვა ეპიზოდებშიც ვკითხულობთ:

*ამიტომ ხიფათს რომ განერიდო*

*შენთვის სასურველ თავშესაფარში,*

რაც, სხვა არაფერია თუ არა ქრისტეს მიერ პეტრესთვის ნათქვამი სიტყვები:

„...რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.“ (მათე 16:18).

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ბოეთიუსთან პაემანზე მისული ქალი, ქრისტიანული რაკურსით სხვა არავინაა თუ არა თავად ქრისტე - ღმერთი - სიბრძნე - სიყვარული. მარიამ ალექსიდის თანამედროვე წარმოდგენაში კი, საკრალური რიცხვის 12 ქალი, ერთი მხრივ პატიმრის ნუგეშს, მისი ხსნის მოახლოების და მესიასთან შეხვედრის იდეას, ხოლო მეორე მხრივ, 12 მოციქულის მეტაფორას გამოხატავს. დაპატიმრებული ქრისტეს ჭირისუფალიც ხომ 12 მოციქული, მარიამ ღვთისმშობელი, მისი და - მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალინელი იყვნენ, რომლებმაც ყველაზე მეტად განიცადეს ქრისტეს ტანჯვა და შემდგომ ჯვარცმა (დახვრეტა). ალექსიდის სპექტაკლის დასასრულშიც 12 ქალს ხვრეტენ, თუმცა სიკვდილს აღდგომა - სიცოცხლე მოსდევს, რაც თეთრ სამოსში შემოსილი ქალის წრებრუნვაში, როგორც ბიბლიური სიუჟეტის მარადიული განმეორების სიმბოლოში ჩანს.

### 3. კინემატოგრაფიული ალუზიები

„12 პაემნის“ სახელწოდება, თემატიკა და პრობლემატიკა ამერიკელი მწერლის რეჯინალდ როუზის პიესას და ამავე პიესის მიხედვით 1957 წელს გადაღებულ ცნობილ ფილმ „თორმეტ განრისხებულ მამაკაცსაც“ მოგვაგონებს. როგორც ცნობილია, როუზის ნაწარმოები 12 ნაფიცი მსაჯულის შესახებ მოგვითხრობს, რომლებიც მკვლელობაში ბრალდებულის დანაშაულის შესახებ მსჯელობენ. განსხვავებული გარემოებების მიუხედავად, ისინი კოლექტიურად ბრალდებული ბიჭისთვის ჯერ სასიკვდილო ვერდიქტის გამოტანას აპირებენ, მაგრამ მოგვიანებით აღმოაჩენენ, რომ ის შეიძლება უდანაშაულო იყოს. ეს საკითხი დღემდე აქტუალურია თანამედროვე იურისპუდენციაში, სამართლისა და სასამართლო სისტემის, საზოგადოებისა და ინდივიდის პასუხისმგებლობის, დამნაშავისა და უდანაშაულოთა ურთიერთმიმართების, სამართლისა და მორალის კუთხით. ქრისტოფერ ნოლანი ფილმში „შავი რაინდის“ (2008) დასასრულს მსგავს თემას

ვხვდებით. ჯოკერი ცდილობს დამნაშავეთა და უდანაშაულოთა ორი დანაღმული გემიდან, ერთ-ერთმა მეორე 12 საათამდე ააფეთქოს, თუმცა „დამნაშავენიც“ და „უდანაშაულონიც“ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის სურვილის მიუხედავად, ერთმანეთისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანაზე და გემის აფეთქებაზე უარს ამბობენ.

ალექსიდის სპექტაკლის 12 ქალი პერსონაჟი თითქოს 12 განრისხებული მამაკაცის გამამტყუნებელი ვერდიქტის შედეგია. საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ მეორესთვის - დამნაშავეთა ოჯახის უდანაშაულო ქალი წევრების მიმართ გამოტანილი განაჩენი, რაც შესაძლოა იმაზე მძიმე სასჯელი იყოს, ვიდრე დამნაშავეს სამართლიანი სასჯელი. შესაბამისად, მარიამ ალექსიდის „12 პაემნის“ ალუზიური ველი გვაფიქრებს არა მხოლოდ „უდანაშაულოთა“ მიერ დამნაშავეთა, არამედ უდანაშაულოთა სასჯელის და ზოგადად სამართლიანობის არსის შესახებაც.

#### 4. სამაია - მედეა, ფედრა, კარმენი

„12 პაემნის“ ცენტრალური პერსონაჟები სამი ხნიერი მოცეკვავე ქალბატონია (მარინა ალექსიძე, ქეთევან მუხაშავერია და მაკა მახარაძე), რომელთა ცეკვა სპექტაკლის დასასრულს, სამაიას მოგვაგონებს. როგორც ცნობილია ქართულ საცეკვაო მეხსიერებაში სამაია როკვას ნიშნავს, რომელიც წარმართული დროიდან რიტუალური მნიშვნელობის მატარებელია და ის ნაყოფიერებისა და სიყვარულის ქალღმერთის სადიდებლად სრულდებოდა. მოგვიანებით ცეკვა სამაია დაკავშირებული იყო თამარ მეფის სახესთან და დროთა განმავლობაში ის ქართველი ქალის მშვენიერებასაც გამოხატავდა. რელიგიურ ჭრილში კი, სამაია ღმერთის სამსახოვნების (ტრიადის) ერთობის მშვენიერებასა და ბრწყინვალეობას მოგვაგონებს. ერთი სიტყვით სამაია, ქართულ ცეკვაში გამოხატული ქართული კულტურა, ხელოვნება და რელიგიაა. ალექსიდის 12 პაემანში კი სამაიას იდეის, მისი ბრწყინვალეებისა და სილამაზის ხანდაზმულობას ვხედავთ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღსანიშნავი და სიმბოლურია სამაიის მოცეკვავეთა წარსულში განსახიერებული სატიტულე როლები. მარინა ალექსიძე - მედეა, ქეთევან მუხაშავერია - ფედრა და მაკა მახარაძე - კარმენი. მედეას და ფედრას ხომ კოლხური ფესვები აქვთ, რაც სამაიას იდეის ალუზიურ ველს აფართოებს. თუ ერთ შემთხვევაში სამაია ქართულ წარმართულ და ქრისტიანულ იდეას გამოხატავდა, აქ ის ანტიკურ, უნივერსალურ მხატვრულ სახეს იძენს. თუმცა, მედეასა და ფედრას ცნობილი მხატვრული მითოლოგიური ძლიერი ქალების სახეები, მარიამ

ალექსიძის თანამედროვე ინტერპრეტაციის ანარეკლებად იქცნენ და სწორედ ეს ბადებს მათ ტრაგიზმს. შესაბამისად „12 პაემანში“, მედია მის ვაჟებს, ხოლო ფედრა ჰიპოლიტოსს დატირის. ამ ყოველივეს გათვალისწინებით მარიამ ალექსიძესთან არა მხოლოდ სამიას იდეის, სილამაზის და მითოლოგიის თანამედროვეობაში ტრანსფორმირებასა და მეტამორფოზას, არამედ დეკონსტრუქციასაც ვხედავთ.

ამრიგად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „12 პაემანში“, მარიამ ალექსიძე თანამედროვე ქორეოგრაფიული მაღალმხატვრული მულტიმედიური ხერხებით, არა მხოლოდ ქართულ სოციო-პოლიტიკურ რეალობას შეეხო, არამედ ზოგადსაკაცობრიო, ფილოსოფიურ, თეოლოგიურ, მითოლოგიურ თუ ლიტერატურულ თემატიკასაც, რაც ანტიკურობისა და ქრისტიანობის თანამედროვეობის კიდევ ერთი საინტერესო მხატვრული ინტერპრეტაციაა.

#### **ლიტერატურა:**

ბოეთიუსი „ფილოსოფიის ნუგეში“, თარგმა გვანცა ფოფხაძემ, გამომცემლობა „ლოგოსი“, 2015.

ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1993.